



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 228/ს
03/08/2022

228-21-4-202208031409



ხულოს მუნიციპალიტეტში, სოფ. ღურტას და სოფ. პაქსაძეების მიმდებარედ, შპს „აჭარისწყალი ჯორჯიას“ ფუჭი ქანების №23 სანაყაროს ნაპირდაცვითი (ნაპირსამაგრი) სამუშაოების განხორციელებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „აჭარისწყალი ჯორჯიას“ მიერ, გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია ხულოს მუნიციპალიტეტში, სოფ. ღურტას და სოფ. პაქსაძეების მიმდებარედ, ფუჭი ქანების №23 სანაყაროს ნაპირდაცვითი (ნაპირსამაგრი) სამუშაოების განხორციელების სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ფუჭი ქანების №23 სანაყაროს მოწყობა ხორციელდება მდ. აჭარისწყალზე, „შუახევის ჰიდროელექტროსადგურის კასკადის“ მშენებლობის პროექტის ფარგლებში. საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ხულოს მუნიციპალიტეტში, სოფ. ღურტას და სოფ. პაქსაძეების მიმდებარედ, ბათუმი-ახალციხის საავტომობილო გზის სიახლოვეს. ფუჭი ქანების სანაყაროს ეროვნული პროცესებისაგან დასაცავად, დაგეგმილია ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელება, კერძოდ, მდ. აჭარისწყლის მარცხენა ნაპირზე 515 მ სიგრძის, ხოლო მარჯვენა ნაპირზე - 345 მ სიგრძის ქვანაყარი ბერმების მოწყობა. საპროექტო დერეფნის საწყისი და ბოლო წერილის GPS კოორდინატებია: I უბანი-X-280762.91 Y-4613552.93; X-281059.54 Y-4613411.79; II უბანი-X-280873.20 Y-280873.20; X-281271.84 Y-281271.84. საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია დაახლოებით 140 მეტრით.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ნაპირდამცავი ნაგებობების ამგები ლოდების დიამეტრები იქნება 0,85 მ, 1,71 მ და 2,56 მ, ხოლო მოცულობითი წონა - 1 850 მ³, 3 701 მ³ და 12 952 მ³-ს.

დოკუმენტში წარმოდგენილია მდ. აჭარისწყლის ჰიდროლოგიური მახასიათებლები. ნაპირსამაგრი ნაგებობა გაანგარიშებულია მდ. აჭარისწყლის ჰიდროლოგიური რეჟიმის გათვალისწინებით. მდ. აჭარისწყლის სიგრძე შეადგენს 90 კმ-ს, ხოლო წყალშემკრები აუზის ფართობი - 1 540 კმ²-ს. დოკუმენტის თანახმად, 100 წლიანი მაქსიმალური ხარჯი,

საპროექტო უბანზე 220 მ³/წმ-ის ტოლია, ხოლო კალაპოტის ზოგადი წარეცხვის მაქსიმალური სიღრმე - 4,10 მეტრია.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, ნაპირდაცვითი სამუშაოების საწყის ეტაპზე გათვალისწინებულია მდ. აჭარისწყლის გაგანიერება, მისი მარჯვენა ნაპირის ჩამოჭრის ხარჯზე. მდინარის კალაპოტის გაგანიერების პროცესში მოხსნილი გრუნტი (11 700 მ³) დროებით განთავსდება მიმდებარედ, „შუახევის ჰიდროელექტროსადგურის კასკადის“ მშენებლობის პროექტის ფარგლებში მოწყობილი ყოფილი სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე (ფართობი: 12 188 მ²; GPS კოორდინატები: X-280756.91 Y-4613579.95; X-280751.69 Y-4613569.89; X-280772.56 Y-4613556.75; X-280791.48 Y-4613558.78; X-280885.06 Y-4613521.20; X-281034.78 Y-4613407.43; X-281048.94 Y-4613425.35; X-281005.96 Y-4613476.98; X-280871.17 Y-4613584.48; X-280793.12 Y-4613585.68; X-280786.06 Y-4613577.73). ქვეყრილი ბერმისთვის საჭირო სხვადასხვა დიამეტრის ფლეთილი ლოდების შესყიდვა განხორციელდება უახლოესი კარიერიდან, რომელიც საპროექტო ტერიტორიაზე შემოვა ავტოთვიტმცლელების საშუალებით. ფლეთილი ლოდების დალაგება მდ. აჭარისწყლის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროს გასწვრივ განხორციელდება 2 ერთეული ექსკავატორით. სამშენებლო სამუშაოების განხორციელების სავარაუდო ხანგრძლივობა შეადგენს 4 თვეს.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელებისას საპროექტო ტერიტორიაზე ემისიების სტაციონარული წყაროები გამოყენებული არ იქნება. მშენებლობის პერიოდში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ძირითადი წყაროები იქნება სამშენებლო ტექნიკა და ავტოსატრანსპორტო საშუალებები. ასევე, უმნიშვნელო ამტვერება მოსალოდნელია ქვანაყარი ბერმის მოსაწყობად განკუთვნილი ფლეთილი ლოდების ჩამოტვირთვის პროცესში, რასაც ექნება დროებითი ხასიათი და არსებით ზემოქმედებას ვერ მოახდენს გარემოს ფონურ მდგომარეობაზე. ნაპირდაცვითი სამუშაოების მასშტაბისა და ხანგრძლივობის გათვალისწინებით, ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. ამასთან, სამშენებლო სამუშაოებისას, ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების მაქსიმალურად შემცირების მიზნით, მუდმივად გაკონტროლდება ავტოსატრანსპორტის და სამშენებლო ტექნიკის ტექნიკური მდგომარეობა და შეიზღუდება მოძრაობის სიჩქარეების (განსაკუთრებით გრუნტის გზებზე).

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელების პროცესში ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელების ძირითადი წყაროები იქნება სამშენებლო ტექნიკა და ავტოსატრანსპორტო საშუალებები. საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლის დაშორების მანძილისა და სამშენებლო სამუშაოების ხანგრძლივობის გათვალისწინებით, ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი. ამასთან, სამშენებლო სამუშაოები განხორციელდება მხოლოდ დღის საათებში.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელების პროცესში მდ. აჭარისწყლის და გრუნტის დაბინძურების ძირითადი რისკები უკავშირდება

გაუთვალისწინებელ შემთხვევებს, როგორცაა: ნარჩენების არასწორი მართვა, ტექნიკისა და სატრანსპორტო საშუალებების გაუმართაობის გამო ნავთობპროდუქტების დაღვრა და სხვა. მსგავსი შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით სამშენებლო მოედანზე დაწესდება შესაბამისი კონტროლი. დოკუმენტის თანახმად, ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელება დაგეგმილია წყალმცირობის პერიოდში, რაც იძლევა ტექნიკის წყალში ხანგრძლივად დგომის გარეშე ექსპლუატაციის საშუალებას. დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში, მუდმივად შემოწმდება სამუშაოების დროს გამოყენებული ტექნიკისა და დანადგარების გამართულობა და გატარდება შესაბამისი ზომები.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელებისას მოსალოდნელია მცირე რაოდენობით საყოფაცხოვრებო ნარჩენების წარმოქმნა, რომლებიც განთავსდება სპეციალურად გამოყოფილ კონტეინერებში და შემდეგი მართვისთვის გადაეცემა კონტრაქტორ კომპანიას. რაც შეეხება მდ. აჭარისწყლის გაგანიერების პროცესში წარმოქმნილ 11 700 მ³ მოცულობის მქონე გრუნტს, იგი გამოყენებული იქნება „შუახევის ჰიდროელექტროსადგურის კასკადის“ მშენებლობის პროექტის ფარგლებში მოწყობილი ყოფილი სამშენებლო ბანაკის რეკულტივაციის სამუშაოებში.

სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილია საპროექტო ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები. საკვლევ არეალში გაყვანილი იქნა ორი შურფი. შურფი №1 გაყვანილი იქნა 4 მ სიღრმეზე, ხოლო შურფი №2 - 3,6 მ სიღრმეზე. №2 შურფში 4,0 მ სიღრმეზე გამოვლინდა გრუნტის წყლები. შესწავლის შედეგად მიღებული მონაცემების საფუძველზე დადგინდა, რომ საკვლევ ტერიტორიაზე გვხვდება 2 ძირითადი საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი (სგე). სგე-1 ტექნოგენური (ნაყარი) გრუნტი წარმოდგენილია ხრეშით, კენჭნარით, თიხნარისა და სამშენებლო ნარჩენების ნარევით, სიმძლავრე შეადგენს 1,20-2,70 მეტრს. გავრცელებულია ჭრილის ზედა ინტერვალებში. სგე-2 ალუვიური გენეზისის კაჭარ-კენჭნარი, ხრეშის შემავსებლითა და ლოდების ჩანართებით. სიმძლავრე 2,70 მეტრის ფარგლებში მერყეობს. გავრცელებულია უბნის მთელ ტერიტორიაზე ძირითადად ჭრილის ქვედა ინტერვალებში. ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელების პროცესში არსებულ საინჟინრო-გეოლოგიურ პირობებზე ნეგატიური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. მაღალი ანთროპოგენური დატვირთვიდან გამომდინარე საპროექტო ტერიტორია ღარიბია მცენარეული საფარით, საპროექტო დერეფანში ასევე არ შეინიშნება ფაუნის წარმომადგენლებისათვის მნიშვნელოვანი ჰაბიტატი. შესაბამისად, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში, გარემოს აღნიშნულ კომპონენტებზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და ხულოს

მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით, წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკის, ადგილმდებარეობის, ხანგრძლივობისა და მასშტაბის გათვალისწინებით, გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის და ამავე კოდექსის II დანართის მე-9 პუნქტის 9.13. ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ხულოს მუნიციპალიტეტში შპს „აჭარისწყალი ჯორჯიას“ მდ. აჭარისწყალზე შუახევის ჰესების კასკადის მშენებლობის პროექტის ფარგლებში, გვირაბებიდან გამონამუშევარი ფუჭი ქანების №23 სანაყაროს ნაპირდაცვითი (ნაპირსამაგრი) სამუშაოების განხორციელება არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“ ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „აჭარისწყალი ჯორჯიას“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „აჭარისწყალი ჯორჯიას“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და ხულოს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თამარ ფიცხელაური



სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო